1965 / 3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 29 (298) ნოემბერი 1965 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განკოფილება პირველი

597. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ.

598. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

599. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

600. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

601. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყვარლის, ქარელის, ჭიათურის და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შტატგარეშე განყოფილებათა და ინსტრუქტორთა მუშაობის შესახებ.

602. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში სიმთვრალესთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

განკოფილება მეორე

603. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ დ. ს. ზავრიევისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

604. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. ჯაფარიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

605. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ჟელტუხინისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

606. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ვ. ციციშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

607. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

608. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

609. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ს. ამატუნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

610. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

611. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

612. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. მექვევრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

613. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზირიუმისა ამხ. ი. ს. ბაღაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

614. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

615. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

616. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ო. გოგოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

617. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ პ. ვ. ხუჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

618. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

619. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

620. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

621. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ბატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

622. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ს. გ. ყაუხჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

597 საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
შეიქმნას საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 27 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

598 ამხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ამხ. შოთა მიხეილის ძე **თათარაშვილი** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 27 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

599 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1965 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას 1965 წლის 19 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 11 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

600 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1965 წლის 22 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 20 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

601 ყვარლის, ჭარელის, ჭიათურის და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შტატგარეშე განყოფილებათა და ინსტრუქტორთა მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყვარლის რაიონული, ფოთის და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საბჭოების საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების გაფართოვების მიზნით.

აღნიშნული რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია საორგანიზაციო-საინსტრუქტორო,ვაჭრობის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტატგარეშე განყოფილებები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტებულია ენერგიული და საქმიანი მუშაკებით.

აღმასკომები პერიოდულად ატარებენ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ამხანაგების საინსტრუქტაჟო თათბირებს მუშაობის ცალკეული საკითხების ირგვლივ.

კარგად მუშაობს ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო შტატგარეშე განყოფილება, რომელმაც მოამზადა და აღმასკომის სხდომაზე განსახილველად შეიტანა საბჭოების მუშაობის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა სასოფლო საბჭოებში, საკომლო წიგნების წარმოების მდგომარეობის შესახებ სასოფლო საბჭოებში, ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შესახებ და სხვ.

ყვარლის რაიონული და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომების საორგანიზაციო-საინსტრუქტორო შტატგარეშე განყოფილებების მიერ მომზადდა და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად შეტანილ იქნა საკითხი მშრომელთა განცხადებებზე და საჩივრებზე რეაგირების მდგომარეობის და ამომრჩევლების მიერ წამოყენებული განაწესების და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ყვარლის რაიაღმასკომის ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილების მუშაკებმა შეისწავლეს და აღმასკომის სხდომაზე განსახილველად შეიტანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის, რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის და ახალსოფლის და ენისლის სასოფლო კოოპერატივებში ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობის საკითხები.

აღმასკომებს თავიანთ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევენ შტატგარეშე ინსტრუქტორები და ინსპექტორები.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყვარლის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების შტატგარეშე განყოფილებებს მუშაობაში გააჩნიათ ნაკლოვანებებიც.

შემოწმებული რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ნაკლებად აწყობენ შტატგარეშე განყოფილებების, ინსპექტორებისა და ინსტრუქტორების მუშაობის გამოცდილების განზოგადებას.

აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად არ ისმენენ ანგარიშს შტატგარეშე განყოფილებების, ინსტრუქტორების მუშაობის შესახებ, არ ხდება მათი შეკრება სწავლების, გამოცდილების გაზიარების მიზნით. ყველა შტატგარეშე განყოფილებას არ გააჩნია მუშაობისათვის საჭირო პირობები. ზოგიერთ მათგანს დღემდე არ აქვთ სამუშაო ადგილიც კი. ამ მხრივ შედარებით უფრო ცუდი მდგომარეობაა ქარელის რაიონული საბჭოს აღმასკომში, სადაც შტატგარეშე განყოფილებები (ვაჭრობის და საორგანიზაციო) თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. რაც შეეხება შტატგარეშე ინსტრუქტორებსა და ინსპექტორებს ისინი საერთოდ არ ჰყავთ შერჩეული და დამტკიცებული.

ყვარლის რაიაღმასკომის საორგანიზაციო და ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილებების სამუშაო გეგმები გადატვირთულია, ამის გამო გეგმით გათვალისწინებული საკითხების მეტი ნაწილი შეუსრულებელი რჩება.

ზემოდ აღნიშნული საბჭოების აღმასკომების შტატგარეშე განყოფილებები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მათ მიერ მომზადებულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეს. თითქმის ყველა შემოწმებულ აღმასკომებში შტატგარეშე განყოფილებების ინსტრუქტორებად შერჩეული ამხანაგები გადატვირთული არიან სხვა დავალებებით, რაც გარკვეულად ხელს უშლის მათ მუშაობას. არადამაკმაყოფილებელია შტატგარეშე განყოფილების კავშირი საბჭოების მუდმივ კომისიებთან. ზოგიერთ შემთხვევაში მუშაობაში ადგილი აქვს პარალელიზმს. მაგალითად, ჭიათურის საქალაქო საბჭოსთან შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტატგარეშე განყოფილება, რომელიც სწავლობს ისეთ საკითხებს, რაც შედის აღმასკომთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიისა და მილიციის განყოფილების კომპეტენციაში.

შტატგარეშე განყოფილებებისა და ინსტრუქტორების მუშაობის გამოცდილების განზოგადების საქმეში ნაკლებად მონაწილეობს ადგილობრივი პრესა და რადიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ყვარლის, ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ფოთის და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები შტატგარეშე განყოფილებების და ინსტრუქტორების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შტატგარეშე განყოფილებების მუშაკების, ინსტრუქტორებისა და ინსპექტორების შერჩევას. ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ აქტივი და არ დაუშვან შტატგარეშე მუშაკებად ისეთი ამხანაგების შერჩევა, რომლებიც გადატვირთული არიან სხვადასხვა დავალებებით;

რეგულარულად ჩაატარონ მათთან საინსტრუქტაჟო თათბირები ამ განყოფილებებისა და ინსტრუქტორების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე; მიაღწიონ იმას, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების წინაშე დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში, სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში;

ბ) აღმასკომების შტატგარეშე განყოფილებების და ინსტრუქტორების მთელი მუშაობა წარმართონ ისე, რომ უფრო მეტად განავითარონ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა საბჭოების წინაშე მდგარ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად;

გ) მხარი დაუჭირონ შტატგარეშე განყოფილებების ინიციატივას, ოპერატიულად განიხილონ მათ მიერ წამოყენებული წინადადებები და მიიღონ საჭირო ზომები შტატგარეშე განყოფილებების და ინსტრუქტორების მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისათვის. ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი პრესა და რადიო;

დ) სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ შტატგარეშე განყოფილებების და ინსტრუქტორებისა და ინსპექტორების მუშაობის საკითხები;

ე) მიაღწიონ იმას, რომ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ შესაბამის შტატგარეშე განყოფილებებთან, ამასთან არ დაუშვან პარალელიზმი მათ მუშაობაში.

2. დაევალოს ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს უმოკლეს ვადაში დააკომპლექტოს ვაჭრობისა და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებები საჭირო კადრებით და შეუქმნას მათ მუშაობის ნორმალური პირობები.

3. დაევალოს რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს პერიოდულად გააშუქონ შტატგარეშე განყოფილებების მუშაობის საკითხები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეისწავლონ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიხილონ შტატგარეშე განყოფილებების მუშაობა და დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. დაევალოს ყვარლის, ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1966 წლის 1 ივნისისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 29 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

602 რესპუბლიკაში სიმთვრალესთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინიტრის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება და საქართველოს სსრ პროკურატურისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები, აღნიშნავს, რომ რიგმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭომ და მათმა აღმასკომმა, აგრეთვე მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სიმთვრალის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მაგრამ რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს ამ საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. რაიონებსა და ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებს არა აქვთ ერთი საერთო გეგმა, რომლითაც სათანადო ორგანოების მონაწილეობით უნდა წარმოებდეს სისტემატური ბრძოლა სიმთვრალისა და ლოთობის წინააღმდეგ. სუსტია ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობა. სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, მართალია, იხილავენ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო საკითხებს, მაგრამ იშვიათია, რომ ისინი სპეციალურად ლოთობასთან ბრძოლას მიეძღვნას.

სასამართლოს, მილიციისა და პროკურატურის ორგანოები ნაკლებად იყენებენ სიმთვრალესთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობას. სიმთვრალის ყოველ შემთხვევას, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან, არ ხდიან ამხანაგური სასამართლოების, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების, ქუჩებისა და სახლების კომიტეტების, მოსახლეობის კრებების მსჯელობის საგნად. სისტემატურად არ წარმოებს სათანადო ახსნა-განმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებითი მუშაობა მოსახლეობაში ალკოჰოლისა და წარსულის მავნე გადმონაშთების — ქელეხებისა და სხვა რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ.

ზემოდ აღნიშნულის შედეგია, რომ სიმთვრალის შემთხვევები რესპუბლიკაში არ კლებულობს.

ჯერ კიდევ დიდია საავტომობილო-საგზაო შემთხვევათა რიცხვი მძღოლთა სიმთვრალის გამო. მიმდინარე წელს რეგისტრირებულ ავტოავარიებიდან 10,6 პროცენტი ჩადენილია სიმთვრალის შედეგად. ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვისათვის დაისაჯა 1.917 კაცი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა, მშრომელთა დეპუტატების თბილისის, სოხუმის, ბათუმის, გორის, ზესტაფონის და მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევენ მაგარი სასმელებით ვაჭრობის დადგენილი წესის დაცვას. ბევრ საზოგადოებრივ კვების საწარმოსა და სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელს საჭიროდ არ მიაჩნია იზრუნოს მაგარი სასმელებით ვაჭრობის სწორ ორგანიზაციაზე და მხოლოდ ამ სასმელების მაქსიმალური რეალიზაციით და ამის საფუძველზე საქონელბრუნვის გეგმის შესრულებით კმაყოფილდება.

ქალაქებში, გზებსა და დასახლებულ ადგილებში ბევრია სხვადასხვა პავილიონები, ფილიალები და სასაუზმეები, რომლებშიც უხეშად ირღვევა მუშაობის რეჟიმი და ვაჭრობის წესები, რაც ხელს უწყობს დანაშაულობას და სხვა სამართალდარღვევებს; ზოგიერთი მათგანი გადაქცეულია სმის მოყვარულთა თავშეყრის ადგილად, სადაც ხშირია ჩხუბი და მძიმე დანაშაული (ქ. თბილისის რესტორანი „რუსთავი", ქ. სოხუმის რესტორან „თბილისის" ფილიალი და სხვ.).

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომები და სავაჭრო ორგანიზაციები, ზოგჯერ, სათანადო მოთხოვნილებათა და საჭიროების შესწავლის გარეშე წყვეტენ საკითხს საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა თუ მათი ფილიალების გახსნისა და, რაც მთავარია, მათში მაგარი სასმელების გაყიდვის მიზანშეწონილობის შესახებ.

არადამაკმაყოფილებელია რესპუბლიკის სასამართლო ორგანოთა დასჯითი პრაქტიკა მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილ თავაშვებული ხულიგნობის საქმეთა განხილვის დროს. მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტს შეფარდებული აქვს ისეთი სასჯელი, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული. სიღნაღის რაიონის სასამართლომ მოქ. კუდინოვი, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ხულიგნობისათვის, სიმთვრალის შედეგად ჩადენილი თავაშვებული ხულიგნობისათვის მხოლოდ 30 მანეთით დააჯარიმა.

ასევე მოქალაქე გონგაძეს თელავის რაიონის სასამართლომ თავაშვებული ხულიგნობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი ადრე ორჯერ იყო მსჯავრდებული ხულიგნობისათვის, წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსგავსი შემთხვევები გვხვდება სხვა ქალაქსა და რაიონშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სიმთვრალის წინააღმდეგ ბრძოლა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დიდმნიშვნელოვანი რგოლია. საზოგადოებრივი წესრიგის გასამტკიცებლად და დანაშაულობათა აღსაკვეთად; სიმთვრალესთან ყოველდღიურ ბრძოლაში ადგილობრივ საბჭოებს აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ ფართო საზოგადოებრიობა, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები; ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებთან ერთად ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა ფორმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) უახლოეს დროში განიხილონ თავიანთ სხდომებზე ეს დადგენილება და მილიციის, პროკურატურისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სიმთვრალესთან ბრძოლის გასაძლიერებლად;

ბ) დააწესონ სათანადო კონტროლი მაგარი სასმელებით ვაჭრობის დადგენილი წესის დაცვისადმი, ამ მიზნით სისტემატურად შეამოწმონ საზოგადოებრივი კვების საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები და მიიღონ სათანადო ზომები გამოვლინებულ დარღვევათა აღსაკვეთად;

გ) უფრო აქტიური გახადონ სასოფლო და სადაბო საბჭოების, ადმინისტრაციული კომისიების, დეპუტატების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა და აამაღლონ მათი როლი სიმთვრალესთან ბრძოლის საქმეში. სესიებისა და აღმასკომების, სოფლის ყრილობების, საწარმოებისა და მოსახლეობის კრებების მსჯელობის საგნად ხშირად გახადონ სიმთვრალესა და მისგან გამოწვეულ მავნე შედეგებთან დაკავშირებული საკითხები;

დ) გააფართოვონ და გააუმჯობესონ განმარტებითი, აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა მოსახლეობაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მონაწილეობით, შეიმუშაონ სიმთვრალის მავნეობის და მასთან ბრძოლის თემატური ლექციებისა და საუბრების ჩატარების გეგმა და უზრუნველყონ მისი შესრულება.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. ვ. ზ. თოხაძე), ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. ნ. ს. ჯავახიძე):

ა) შეამოწმონ, თუ როგორ იცავენ მათდამი დაქვემდებარებულ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მაგარი სასმელებით ვაჭრობის დადგენილ წესს და უმოკლეს ვადაში სრული წესრიგი დაამყარონ ამ საწარმოებში;

ბ) გადასინჯონ ცალკეული საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა მიხედვით ხვედრითი წონა მაგარი სასმელების რეალიზაციისა, ვაჭრობის საერთო გეგმის შესრულებაში. მიაღწიონ იმას, რომ სავაჭრო-საფინანსო გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მები სრულდებოდეს ძირითადად არა მაგარი სასმელების რეალიზაციით, არამედ ვაჭრობის კულტურის ამაღლებით, საკუთარი პროდუქციის გამოშვების გაფართოვების, მშრომელთათვის ამ საწარმოებით სარგებლობის ნორმალური პირობების შექმნით;

გ) „ზემდგომი ორგანოების მითითებათა შესაბამისად აკრძალონ მაგარი სასმელებით ვაჭრობა ისეთ სავაჭრო საწარმოებში, რომლებიც მდებარეობენ უშუალოდ სამრეწველო საწარმოებთან, სასწავლებლებთან, საბავშვო დაწესებულებებთან, საავადმყოფოებთან, სანატორიუმებთან, დასასვენებელ სახლებთან, კულტურულ და სანახაობათა საწარმოებთან და ა. შ.

გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1966 წლის 1 ივლისისათვის.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი), საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ე. ა. შევარდნაძე) უზრუნველყონ სიმთვრალესთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის განუხრელად შესრულება. ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულების ცხოვრებაში სწორად გატარებას, სისტემატურად განახორციელონ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებანი დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა ასაცდენად.

ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1966 წლის 1 ივლისისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს აამაღლონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, რომ აღკვეთონ მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სიმთვრალის მიზეზით სამუშაოს გაცდენის და ნასვამ მდგომარეობაში სამუშაოზე გამოცხადების შემთხვევები; უზრუნველყონ, რომ ყველა ხელმძღვანელი დროულად იხილავდეს და სათანადო რეაგირებას უკეთებდეს მილიციის ორგანოებიდან, ადმინისტრაციულ კომისიებიდან და სხვა ორგანოებიდან მიღებულ შეტყობინებას მათი მუშაკების მიერ დაშვებულ დარღვევების შესახებ.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ლ. ა. საყვარელიძე) განახორციელოს სათანადო ღონისძიება ქრონიკულ ალკოჰოლიზმით დაავადებულ იმ მოქალაქეთა მკურნალობის გასაუმჯობესებლად, რომელთაც ნებაყოფლობით სურთ იმკურნალონ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს (ამხ. ვ. ი. მაისურაძე) შეისწავლოს სასამართლო ორგანოთა დასჯითი პრაქტიკა იმ საქმეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, რომლებიც შეეხება სიმთვრალის შედეგად ჩადენილ დანაშაულს და აღკვეთოს გამოვლინებული ნაკლოვანებები.

7. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა უფრო ხშირად გამოაქვეყნონ კორესპოდენციები, წერილები და ფელეტონები სიმთვრალესთან ბრძოლის საკითხებზე, ამ საქმეში ჩააბან მწერლები, პოეტები, მხატვრები, მეცნიერი მუშაკები, წარმოების მოწინავეები და რესპუბლიკის ცნობილი ადამიანები.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. კ. კ. გარდაბხაძე), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილი), საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ლ. ა. საყვარელიძე), საზოგადოება „ცოდნას" (ამხ. ნ. ე. ჭახრაკია) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ჯანსაღი ყოფის და სიმთვრალესთან შეურიგებელი ბრძოლის პროპაგანდის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

9. საქართველოს სსრ პროკურატურისა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წინადადებანი სიმთვრალესთან ბრძოლის საკითხებზე მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შესახებ გადაეცეს განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 29 ნოემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

603 პროფესორ დ. ს. ზავრიევისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორ დავით სამსონის ძე **ზავრიევს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

604 ამხ. ს. მ. ჯაფარიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური და საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის ამხ. სტეფანე მელიტონის ძე **ჯაფარიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

605 ამხ. ა. ნ. ჟელტუხინისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს ორკესტის უფროსს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ჟელტუხინს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

606 პროფესორ ბ. ვ. ციციშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორ გიორგი ვლადიმერის ძე **ციციშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

607 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

1. შალვა გიორგის ძე **ხერხეულიძეს** — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

1. გიორგი იოსების ძე **აბრამიშვილს** — მთავარ რეჟისორს.
2. გედევან ივანეს ძე **ნავროზაშვილს** — დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა

1. შოთა სიმონის ძე **ხუციშვილს** — მთავარ მხატვარს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. ერვანდ არუთინის ძე **არაქელოვს** — მსახიობს.
2. მარიამ დიმიტრის ასულ **ბახტაძეს** — მსახიობს.
3. ვიქტორია ივანეს ასულ **ბერუაშვილს** — მსახიობს.
4. ქეთევან გაბრიელის ასულ **ბოჭორიშვილს** — მსახიობს.
5. ალექსანდრე ლევანის ძე **კალანდარიშვილს** — მსახიობს.
6. შოთა სერგის ძე **კიკნაძეს** — მსახიობს.
7. სერგო მელქოს ძე **ტატალაშვილს** — მსახიობს.
8. როზალია ალექსანდრეს ასულ **ცაბაძეს** — მსახიობს.
9. (მცხეთელს) ერვანდ სერგის ძე **ხუბიეროვს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

608 ამხ. გ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი ამხ. გიორგი დავითის ძე **თავამაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 2 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

609 ამხ. ე. ს. ამატუნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტი ამხ. ერანული სუმბათის ასული **ამატუნი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 2 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

610 ამხ. ა. გ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო-საბანკო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორის მმართველის მოადგილე ამხ. ალფეზ გიგოს ძე **თოდუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

611 **ამხ. ბ. ბ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი ამხ. გრიგოლ გიორგის ძე **სანაკოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 2 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

612 **ამხ. მ. ი. მექვევრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. მიხეილ ილიას ძე **მექვევრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 19 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

613 **ამხ. ი. ს. ბალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. იოსებ სიმონის ძე **ბალაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

614 ამხ. ნ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგე ამხ. ნიკოლოზ ალექსის ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

615 ამხ. ი. ა. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განათლების სამმართველოს უფროსი იოსებ ანდრიას ძე **კახიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

616 ამხ. ი. ო. გოგოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იასონ ოქროს ძე **გოგოლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 23 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

617 პროფესორ პ. ვ. ხუჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი პავლე ვასილის ძე **ხუჭუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

618 ამხ. ი. ა. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

9771.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ირაკლი ახმედის ძე **დიასამიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 25 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

619 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. მოსკოვში მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი კვების დათვალიერება-კონკურსში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. აკაკი იაკობის ძე **თვარაძე** — რესტორან „საქართველოს“ დირექტორი.
2. მიხეილ პეტრეს ძე **სამხარაძე** — რესტორან „საქართველოს“ წარმოების გამგე.

საქ. სსრ სახელმწ. რესპუბლიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ივანე ნიკოლოზის ძე **წინამძღვრიშვილი** — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 25 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

620 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გიორგი მიხეილის ძე **ბასიშვილი** — მსახიობი.
2. ნინო გიორგის ასული **ბეროზაშვილი** — მსახიობი.
3. ვახტანგ დავითის ძე **გელაშვილი** — სადურგლო საამქროს გამგე.
4. სტეფანე იოსების ძე **გრიქურაოვი** — მსახიობი.
5. ოთარ ვასილის ძე **დათუნაშვილი** — მსახიობი.
6. გიორგი ილიას ძე **დენისაშვილი** — მსახიობი.
7. ნინო ვასილის ასული **ზალდასტანიშვილი** — მსახიობი.
8. ბორის მიხეილის ძე **იუდევიჩი** — პიანისტ-კონცერტმეისტერი.
9. ქეთევან გიორგის ასული **კავსაძე** — გარდერობის გამგე.
10. ვასილ ილიას ძე **კახნიაშვილი** — მსახიობი.
11. ნათელა იასონის ასული **კიკნაძე** — მთავარი ადმინისტრატორი.
12. ნიკოლოზ მარკოზის ძე **მანაგაძე** — მკერავი ინსტრუქტორი.
13. ვალერიან ნიკოლოზის ძე **მარსაგიშვილი** — მსახიობი.
14. კარლო ლევანის ძე **მოსიაშვილი** — დირექტორის მოადგილე.
15. ეთერი გიორგის ასული **მოციქულაშვილი** — მსახიობი.
16. ირეოდიონ არჩილის ძე **მჭედლიშვილი** — მხატვარი.
17. მარიამ ლუკას ასული **ნოზაძე** — მსახიობი.
18. ფატი კონსტანტინეს ასული **ულენტი** — სარეკვიზიტო საამქროს გამგე.
19. ლუსია არშაკის ასული **სეილანოვი** — მსახიობი.
20. ამირან ნიკოლოზის ძე **ჩრდილელი** — სადადგმო ნაწილის გამგე.
21. ოთარი არჩილის ძე **ცერცვაძე** — სცენის უფროსი მემანქანე.
22. შოთა ვახტანგის ძე **ჯვარაძე** — გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 26 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

621 ამხ. ა. ბ. ბატიაშვილის საქართველო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსი გიორგის ძე **ბატიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

622 პროფესორ ს. ბ. ყაუხჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორი სიმონ გიორგის ძე **ყაუხჩიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 29 ნოემბერი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დააჯილდოვა 241 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან 14
აბაშის რაიონიდან 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის	"	21
ბოლნისის	"	64
ზუგდიდის	"	11
თელავის	"	8
ლაგოდეხის	"	14
მახარაძის	"	22
ცაგერის	"	7
წალენჯიხის	"	20
სამხრეთ ოსეთის ა/ო		39

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“

მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

მიიღება ხელმოწერა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

1965 წლისათვის

„უწყებებში“ ქვეყნდება სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ; საინფორმაციო მასალები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

„უწყებები“ სჭირდებათ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურის, საბჭოთა სამეურნეო, სავაჭრო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, ბიბლიოთეკებისა და კლუბების გამგეებს.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის ახალი გაფორმებით ყოველკვირეულად ქალაქ მოსკოვში მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე

ხელმოწერის ფასია

12 თვით — 3 მანეთი და 12 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 56 კაპ.
3 თვით — 78 კაპ.

ცალკეული ნომრის ფასი — 6 კაპ.

ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

თითოეული გამოცემა გამოდის ორ ენაზე — რესპუბლიკის და რუსულ ენაზე. ხელმოწერის დროს საჭიროა აღინიშნოს რომელ ენაზე სურს ხელის მომწერს მიიღოს „უწყებები“.

ხელმოწერას მიიღებს შეუზღუდავად კავშირგაბმულობის ყველა განყოფილება და „სოიუზპეჩატის“ კონტორები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ამა წლის 1 ოქტომბრიდან განახლდა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემა ქართულ ენაზე. ამიტომ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ სსრ კავშირის აქტები აღარ გამოქვეყნდება, ხოლო ხელის მომწერნი წლის ბოლომდე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებთან“ ერთად მიიღებენ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსაც“.

ამასთან ერთად მოგაგონებთ, რომ უკვე დაიწყო ხელმოწერა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე“ 1966 წლისათვის. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ წინანდებურებად გამოქვეყნდება საქართველოს სსრ კანონები და დადგენილებანი, მიღებულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, აგრეთვე საინფორმაციო ხასიათის მასალა.

დროულად გამოიწერეთ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ მთელი წლით. ხელმოწერის ფასია 1 მან. 20 კაპ. (ინდექსი — 76035).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობა.